



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2

04/01/2018

ქალაქი ბათუმი

2-05-4-201801041248



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და შ.პ.ს „ლადა“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 09 ოქტომბრის №223 ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფასების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და შ.პ.ს „ლადა“-ს შორის 2017 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №223 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შ.პ.ს „ლადა“ კისრულობდა ვალდებულებას განეხორციელებინა სოფელ ახალშენში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები თანახმად ხარჯთაღრიცხვისა.

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თამაზ მურადიშვილის 2017 წლის 19 დეკემბრის №3544-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ შ.პ.ს „ლადა“ 2017 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №223 ხელშეკრულების თანახმად ასრულებს სოფელ ახალშენში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოებს. მიმდინარე წლის 28 ნოემბერს №14017/05 წერილით მოგვმართა შ.პ.ს „ლადა“-ს დირექტორმა ბეგლარ დიდმანიძემ და აღნიშნა, რომ სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ფერდზე განმეორებით განვითარდა მიწის მასის ჩამოშლა, რამაც გამოიწვია სამშენებლო ტერიტორიის დაფარვა ჩამოსული მიწის მასით, დააზიანა 15გრძ/მ ჩამოსხმული კედელი, რისთვისაც შ.პ.ს „ლადა“-ს დირექტორი ბეგლარ დიდმანიძე მოითხოვს 2017 წელს ასათვისებელი 300 000 ლარის ნაცვლად 2017 წლის 25 დეკემბრამდე მოხდეს 180 000 ლარის ათვისება, ხოლო დარჩენილი მეორე ეტაპის სამუშაოები ღირებულებით 120 000 ლარი გადავიდეს 2018 წელში, რაზეც მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნა ადგილზე გასვლით შესწავლილი აღნიშნული ფაქტი და შედგენილი იქნა დათვალეობის აქტი. ასევე 2017 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა შ.პ.ს „ლადა“-ს დირექტორის №14996/05 წერილი, რომელითაც აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვადის დარღვევის ძირითადი მიზეზი არის მეწყერი, დღეის მდგომარეობითაც სამშენებლო ადგილზე დიდი რაოდენობით არის წყალი, რომელიც შემოდის ჩამოშლილი ქედიდან. გეოლოგიური დასკვნის გათვალისწინებით და ზემოთაღნიშნულ პროექტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, შესაძლებელია მითითებულ ადგილას მშენებლობის წარმოება წინააღმდეგ (უარყოფითი დასკვნა) შემთხვევაში მოითხოვს ჩატარებული სამუშაოების ანაზღაურებას და ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტას ისე, რომ არ დაზიანდეს კომპანიის ინტერესები.

ზემოაღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თამაზ მურადიშვილის 2017 წლის 19 დეკემბრის №3544-05 მოხსენებით ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ლადა“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 09 ოქტომბრის №223 ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფასების მიზნით.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეებად მოწვეული იქნენ:

ა) შ.პ.ს „ლადა“-ს დირექტორი ბეგლარ დიდმანიძე;

ბ) თამაზ მურადიშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) თენგიზ გურგენიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი;

დ) ერეკლე აბაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

ე) რუსლან დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველ მოადგილეს ზვიად ხალვაშს დაევალოს ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად უფლება აქვთ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

5. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა